

ჟიულ ლეკლერკი

კავკასიიდან ალას მთებამდე...

1890 წელს საქართველოში ჩამოვიდა ბელგიელი იურისტი, გეოგრაფი და ბელგიის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, ჟიულ ლეკლერკი (1848-1928). თავის თხულებამი იგი საინტერესოდ აღწერს თბილისის მოსახლეობას და თბილისის ერთ-ერთ ბაღს.

Jules Leclercq, Du Caucase aux monts Alaï: Transcaspië-Boukharie – Ferganah. Ouvrage accompagne d'une carte, Paris: E. Plon, 1890

Bien tard dans la nuit on aperçoit les mille lumières d'une grande ville de 120 000 âmes: c'est Tiflis, (5) la capitale de la Transcaucasie. Un drojki me mène ventre à terre de la gare au centre de la ville et me dépose sur la place d'Érivan, devant l'hôtel du Caucase, dont le propriétaire est français. Le lendemain, par une chaleur de four à plâtre, je me mets en devoir d'arpenter les rues et les bazars en compagnie de l'interprète de l'hôtel, un Mingrélien portant très fièrement le costume national de son pays. (6)

გვიან ღამით 120,000 სულიანი დიდი ქალაქის ათასობით ჩირაღდანი ჩანს: ეს არის თბილისი, ამიერკავკასიის დედაქალაქი. სადგურიდან დროშკამ ძალიან სწრაფად მიმაქროლა ერივნის მოედანზე მდებარე სასტუმრო „კავკაზთან“, რომლის მეპატრონე ფრანგია. მეორე დღეს, პაპანაქება სიცხის მიუხედავად, ქალაქის ქუჩებისა და ბაზრების დასათვალიერებლად წავედი სასტუმროს თარჯიმნის, ერთი მეგრელი კაცის თანხლებით, რომელიც ამაყად ატარებდა თავის ეროვნულ სამოსს.

Tiflis est la ville des contrastes; c'est un pot à couleurs où se mélangent sans se combiner tous les éléments de l'Europe et de l'Asie. Elle se compose de trois villes distinctes, et sa population comprend au moins une demi-douzaine de races différentes. Les Russes et les Allemands forment l'élément européen; l'Asie est représentée par les Géorgiens, les Arméniens, les Persans et les Tatars, sans compter toutes les variétés de la race caucasienne connues sous les noms de Mingréliens, Abkhasiens, Ossètes, Lesghiens, Imérétiens, etc. (6)

თბილისი კონტრასტების ქალაქია; ეს არის ფერების ქოთანი, რომელშიც ევროპისა და აზიის ყველა ელემენტი ერთმანეთში ირევა, მაგრამ არ ერთდება. ის სამი განსხვავებული ქალაქისგან შედგება, მის მოსახლეობაში კი, სულ ცოტა, ნახევარი დუჟინი სხვადასხვა რასაა. ევროპულ ელემენტს რუსები და გერმანელები შეადგენენ, აზიას – ქართველები, სომხები, სპარსელები და თურქები წარმოადგენენ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვადასხვა კავკასიელი ხალხების შესახებ, რომლებიც ცნობილი არიან მეგრელების, აფხაზების, ოსების, ლეკების, იმერლებისა და ა.შ. სახელით.

Tiflis fut pendant longtemps sous la domination de la Perse, et voilà pourquoi la vieille ville a conservé une physionomie persane très accentuée. La population iranienne y est très nombreuse aujourd'hui encore, et on reconnaît les descendants des anciens maîtres du pays à leurs longues robes de couleur sombre et à leurs bonnets noirs en peau de (9) mouton. Ce sont d'habiles ouvriers, excellent surtout dans le métier de maçon, et se contentant de presque rien pour leur subsistance.

თბილისი დიდხანს იყო სპარსელების ბატონობის ქვეშ და ძველ ქალაქში ამიტომ შენარჩუნდა მკვეთრად გამოხატული სპარსული იერსახე. ირანელები იქ დღესაც მრავლად არიან და ქვეყნის ძველი ბატონების შთამომავლებს მათი მუქი ფერის გრძელი სამოსითა და

კრაველის შავი ქუდით შეიცნობ. ისინი მარჯვე ხელოსნები, განსაკუთრებით კი ჩინებული კალატოზები არიან და საარსებოდ მცირედით კმაყოფილდებიან.

A peu près aussi nombreux que les Persans sont les Tatars, qui forment une population flottante à raison de leurs habitudes nomades; la plupart exercent le métier de voiturier sur les routes de la Perse et de la Caspienne. (10)

თითქმის სპარსელებივით მრავალრიცხოვანნი არიან თათრებიც, მომთაბარე ხალხი; მათი უმრავლესობა გადაზიდვებით არის დაკავებული სპარსეთისა და კასპიისპირეთის გზებზე.

Les Arméniens forment un élément important de la population: on les reconnaît à leur teint basané. De toutes les races asiatiques, c'est certes la plus entreprenante et la plus apte aux affaires: le commerce est presque entièrement entre leurs mains, et ce sont des Arméniens qui exercent la moitié des emplois dans l'administration russe en Transcaucasie. Telle est leur astuce qu'on dit dans le pays qu'un Arménien vaut trois juifs. Aussi sont-ils cordialement détestés par les autres races, et particulièrement par les Géorgiens. (10)

მოსახლეობის მნიშვნელოვან ელემენტს სომხები ქმნიან: მათ მუქი სახის ფერით შეიცნობ. ყველა აზიური რასიდან ის უდავოდ ყველაზე ფხიანი და უნარიანია ბიზნესის თვალსაზრისით: ვაჭრობა თითქმის მთლიანად მათ ხელშია და ამიერკავკასიაში რუსეთის ადმინისტრაციაში დასაქმებულთა ნახევარი სწორედ სომხები არიან. ისინი ისეთი ცბიერები არიან, რომ როგორც აქ ამბობენ, ერთი სომეხი სამ ებრაელს უდრის. ამიტომ ისინი გულწრფელად ეჯავრებათ სხვა რასებს, განსაკუთრებით ქართველებს.

Les Géorgiens forment, à Tiflis, la race dominante: c'est qu'en effet ils y sont chez eux, puisque Tiflis, avant d'être une ville persane, fut la métropole de l'ancien royaume de Géorgie. Quoique la plupart des Géorgiens soient nobles, et que nulle part les princes ne soient aussi nombreux qu'à Tiflis, ils sont presque tous pauvres, et beaucoup sont réduits à servir en qualité de domestiques. Le plus grand nombre ont abandonné le costume national pour s'habiller à l'européenne, mais les femmes ont heureusement (10) conservé leur coquette coiffure, sorte de diadème qui laisse tomber sur les épaules un long voile de mousseline blanche et qui leur donne un grand air de noblesse et de fierté. (11)

ქართველები თბილისში დომინანტი რასაა: იმიტომ, რომ ისინი თავის სახლში არიან, რადგან სპარსულ ქალაქად გახდომამდე თბილისი საქართველოს ძველი სამეფოს მეტროპოლია იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველების უმრავლესობა კეთილშობილია და თავადაზნაურობა არსად არის ისე მრავლად, როგორც თბილისში, ისინი თითქმის ყველანი ღარიბები არიან და მრავალი მათგანი იძულებულია მსახურად დადგეს. მათმა უმრავლესობამ ეროვნულ სამოსზე ევროპულის სასარგებლოდ თქვა უარი, მაგრამ საბედნიეროდ ქალებმა შეინარჩუნეს თავიანთი მოხდენილი მორთულობა, ერთგვარი დიადემა, რომლიდანაც მხრებზე ეცემათ მუსლინის გრძელი თეთრი ვუალი, რაც მათ დიდებული კეთილშობილებისა და სიამაყის იერს სძენს.

Pour se faire une idée de l'étrange mélange de races et de langues qu'offre la capitale du Caucase, il faut aller dans un de ces charmants jardins publics, où la haute société- se rend le soir pour prendre le frais et entendre la musique. J'y allai plusieurs fois en compagnie de notre aimable consul, M. Megvinoff. C'est là qu'on peut voir les princesses géorgiennes dans toute la splendeur de leur costume théâtral; les Arméniennes s'y montrent dans le même costume; les femmes russes y vont les unes dans leur gracieux costume national, les autres en vulgaire toilette parisienne; quant aux femmes persanes, on les cherche en vain, car leur religion leur défend de se montrer en public. On n'imagine pas une plus complète (11) confusion de langues que celles qu'on entend parler par cette foule bigarrée. Je ne

pouvais jamais deviner la langue que parlaient les belles promeneuses que je voyais passer autour de nous pendant que nous dégustions les vins du Caucase ou les sorbets glacés: était-ce du tatar, de l'arménien, du persan, du géorgien ou l'ossète? M. Megvinoff, linguiste distingué en sa qualité d'Arménien, m'expliquait en français ces problèmes ardues qui se compliquent encore des questions de religion. Car les musulmans sont divisés en deux sectes: les chiites et les sunnites, qui s'abhorrent mutuellement. Les Tatars sunnites et les persans schismatiques chiites ont chacun à Tiflis leurs mosquées rivales. (12)

კავკასიის ამ დედაქალაქში მყოფი რასებისა და ენების უცნაური ნარევის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად ერთ-ერთ მომხიბლავ საზოგადოებრივ ბაღში უნდა მიხვიდე, სადაც მაღალი საზოგადოება გასაგრილებლად და მუსიკის მოსასმენად დადის. მე იქ რამდენჯერმე ჩვენს თავაზიან კონსულთან, ბატონ მეღვინოვთან, ერთად მივედი. სწორედ იქ შეიძლება ქართველი პრინცესების ნახვა მათი თეატრალური კოსტიუმების მთელი ბრწყინვალეობით; მსგავსი სამოსი აცვიათ სომეხ ქალებსაც; იქ რუსი ქალებიც მიდიან, ერთნი თავიანთი მოხდენილი ეროვნული ტანსაცმლით, სხვები – უინტერესო პარიზული სამოსით; რაც შეეხება სპარსელ ქალებს, ამაოდ ეცდებით მათ მოძებნას, რადგან რელიგია მათ საჯაროდ გამოჩენას უკრძალავს. ძნელია ენების იმაზე მეტი მრავალფეროვნების წარმოდგენა, ვიდრე ამ ჭრელ ბრბოში მოისმენ. როდესაც კავკასიურ ღვინოს ან ყინულოვან შარბათს ვსვამდით, ვერასოდეს ვხვდებოდით, თუ რა ენაზე საუბრობდნენ ჩვენ გარშემო მყოფი მშვენიერი მოსეირნეები: თათრულ, სომხურ, სპარსულ, ქართულ თუ ოსურზე? ბატონი მეღვინოვი, გამორჩეული სომეხი ლინგვისტი, ფრანგულად მიხსნიდა ამ რთულ პრობლემებს, რომლებსაც კიდევ უფრო ართულებს რელიგიური საკითხები, რადგან მუსლიმები იყოფიან ორ სექტად, შიიტებად და სუნიტებად, რომელთაც ერთმანეთი ეჯავრებათ, თათარ სუნიტებს და სპარსელ შიიტებს თბილისში თავიანთი მეტოქე მეჩეთები აქვთ.

Ce qui ne fut pas une de mes moindres surprises, ce fut d'entendre la musique qu'on joue aux jardins publics de Tiflis. Comme les Géorgiens ne comprennent absolument rien à la musique persane ni les Persans encore moins à la musique russe, on en donne pour tous les goûts: tour à tour on entend un orchestre russe, un orchestre géorgien, un orchestre persan. Rien ne m'a paru plus drôle que la musique persane: le son sauvage des tambourins et des mandolines accompagnait un chant bizarre, indéfinissable, que je ne pourrais mieux comparer qu'aux cris plaintifs d'un homme qui aurait une fièvre violente et serait sur le point de rendre le dernier soupir. (12)

ის, რამაც სულაც არ გამაკვირვა, ეს იყო მუსიკის ხმა, რომელსაც თბილისის საზოგადოებრივ ბაღებში უკრავენ. რადგან ქართველებს სპარსული მუსიკის საერთოდ არაფერი, ხოლო სპარსელებს კიდევ უფრო ნაკლებად გაეგებათ რუსული მუსიკის, იქ რუსული, ქართული და სპარსული ორკესტრები რიგრიგობით უკრავენ ყველა გემოვნების მუსიკას. სპარსული მუსიკა ძლიერ უცნაური მომეჩვენა: დაირებისა და მანდოლინების ველურ ხმას ახლდა თავისებური, გაურკვეველი სიმღერა, რომელსაც მხოლოდ ციებ-ცხელებიანი კაცის იმ საცოდავ ხრიკს თუ შევადარებდი, უკანასკნელად რომ აღმოხდება.

თარგმნა ირინე ნაჭყებია